

"გამოჩნდნენ პირველი ვირთხები? ჩვენში უჭკუობა უკვე ტრადიციად იქცა"



„ნაციონალური მოძრაობის“ წევრი ნინო კადანდაძე სოციალურ ქსელში საკუთარ გვერდზე განცხადებას ავრცელებს და აღნიშნავს, რომ „უჭკუობა უკვე ტრადიციად იქცა“.

“შეირყა გემი და გამოჩნდნენ პირველი ვირთხებიც? არცთუ პარადოქსადურად სურ ერთიდაიგივე ვირთხებია ესენი ოღონდ. ტრადიციურად, ორიგინალურობით არც ახლა გამოირჩევიან. თაიმინგიც ისევ მრავლისმთქმელია და კონტექსტიც.

ასეა: გამომძაღვედთან მოლაპარაკებას ბუმერანგის ეფექტი აქვს – სანამ ძლიერი ხარ ღრობით გიფრთხის და როცა ყველაზე სუსტი ხარ, მაშინ მოგაჭერს. აბა, სხვა მხრივ უფასოს და მუდამ გამორჩენაზე მყოფს სხვა რა ინტერესი აქვს? ჭკვიანი სხვის შეცდომებზე სწავლობსო. ჩვენში კი უჭკუობა უკვე ტრადიციად იქცა. სხვისი არ ვიცი და ჩემი დეჟავიუ, მგონი, აწი იწყება“ – წერს კადანდაძე.

შეგახსენებთ, გუშინ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა სადომე სამადაშვიდმა სოციალურ ქსელში დაწერა, რომ აღარ აპირებს არანაირ აქციაში მონაწილეობის მიღებას, რომედრეც გრიგორ ვაშაძეს მიესაღმებიან, როგორც საქართველოს პრეზიდენტს. მისი განმარტებით, ეს მხოლოდ აზიანებს ოპოზიციის ინტერესებს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ.